6 მაისი — გიორგობა!
12 მაისი — ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე!

# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №9(287) 2023 წ. 1-15 მაისი ფასი 1 ლარი

## ტრადიციული სახალხო ზეიმი – გიორგობა

**6 მაისს**, გიორგობა დღეს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდაში გაიმართა სოფლის ტრადიციული სახალხო ზეიმი, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***მერის* ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით იქნა წელს აღდგენილი. პროგრამა საინტერესოდ იქნა შედგენილი. პაატა გულიაშვილისა და ქსოვრელების მონაწილეობით გამართულმა კონცერტმა მონაწილეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. აქ მოსულ გიორგიწმინდელებს და სოფლის სტუმრებს შეეძლოთ დაეთვალიერებინათ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ასევე საინტერესოდ წარიმართა ჭიდაობა, ხოლო ადგილობრივი წარმოების ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციაზე ყველას შეეძლო მონაწილეობის მიღება.







## გამარჯვების დღე

**ფაშიზმზე** გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა* ავთანდილ გულიკაშვილმა** მოადგილესთან **გიორგი ლალიაშვილთან,** საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე **ლელა მარიდაშვილთან** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომის გმირთა მემორიალები თაიგულებით შეამკო და პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

ავთანდილ გულიკაშვილი მეორე მსოფლიო ომის ვეტერან - 98 წლის **ზაქარია ალექსაშვილს** პირადად ესტუმრა, ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავი მიულოცა, მხნეობა და ჯანმრთელობა უსურვა და ერთჯერადი დახმარება – 1000 ლარი გადასცა.





## საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ოფიციალური ვიზიტით იტალიის დელეგაცია ეწვია

**ვიზიტის** ფარგლებში შეხვედრა გაიმართა იუნესკოს თეატრის იტალიის ინსტიტუტის პრეზიდენტთან - პროფ. ფაბიო ტოლედისტან, იტალიის საერთაშორისო პროექტების პასუხისმგებელ პირთან რობერტა ქუარტასთან, ევროპის ასტრაგალის თეატრის კულტურის მენეჯერთან ივანო გორგონთან და სალენტოს უნივერსიტეტის გაძლიერებული და ვირტუალური რეალობის ლაბორატორიის ხელმძღვანელ -პროფ. ლუსიო დე პაოლისისთან,



შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს საგარეჯოსა და იტალიის ქალაქ ლეჩეს ერთობლივი პროექტების განხორციელების შესახებ და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივაზე შეთანხმდნენ, რაც გულისხმობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას და კულტურის პოპულარიზაციას, ასევე ისაუბრეს მუნიციპალიტეტისთვის აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა -განხორციელებაზე.



ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში მხარეებს შორის- საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმება შედგა: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი (საქართველო), სალენტოს უნივერსიტეტის გაფართოებული და ვირტუალური რეალობის ლაბორატორია (ინჟინერიის განყოფილება) (იტალია), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (საქართველო), სახვითი ხელოვნების აკადემია (საქართველო), ადამიანის განვითარებისა და კულტურის საერთაშორისო სკოლა (კაკაბეთი, საქართველო, HDACIS), იუნესკოს სტუ-ს თავმჯდომარესა და სან ცესარიოს მუნიციპალიტეტს შორის. დელეგაციის წევრებმა განსაზღვრეს საგარეჯოსა და აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის კონკრეტული მიმართულებები, რაც გულისხმობს - ტურიზმის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელებას.



დღის წესრიგის ფარგლებში, სხვადასხვა აქტივობები, პრეზენტაციები და შეხვედრები განხორციელდა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ვიზიტს კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გივი მეტრეველი დაესწრო.

ვიზიტის ძირითადი მიზანი და ურთიერთშეთანხმება მოიცავდა

ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის ერთობლივი საგანმანათლებლო, კულტურული პროექტების შექმნას;

*დასასრული მე-8 გვერდზე*

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**28 აპრილი, 2023 წელი**



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე* ალექსი ბილაშვილი** უძღვებოდა.

სხდომის დღის წესრიგის I საკითხზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“*** მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა* მარინე თედიაშვილმა.** როგორც მომხსენებელმა აღნიშნა:

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 60183,638 ლარით, ანუ დამტკიცებულთან 19853,700 ლართან შედარებით 40329,938 ლარით (203 %) გაიზარდა, ***ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები***: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 11754,939 ლარი, მათ შორის: 2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 5591.024 ლარი; 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად 2459,854 ლარი; „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 668.000 ლარი; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის 2297,000 ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 282,081 ლარი, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 456,980 ლარი. ***საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გაიზარდა*** 10735,300 ლარით, ***მათ შორის***: საკასო შემოსავლების მიხედვით არაფინანსური აქტივების კლების მუხლი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან შემოსული 8000,000 ლარით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით მიღებული კაპიტალური გრანტი 400,000 ლარით; მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დამატებული ღირებულების გადასახადიდან 1140,300 ლარით, ქონების გადასახადიდან 1195,000 ლარით,

წინა წლის ნაშთიდან განაწილდა სულ 17839,699 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ფონდებიდან 2486,104 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 15353,595 ლარი. ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 17843,320 ლარს, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 21577,540 ლარია. მათ შორის 16909,063 ლარი ვალდებულებებია, 4668,477 ლარი თავისუფალია. ნამეტი შემოსავალია: გადასახადებიდან 1091,729 ლარი, სხვა შემოსავლებიდან 2771,697 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან 805,051 ლარი.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 42343,939 ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 46866,873 ათასი ლარი, ანუ გეგმის 111 %. ბიუჯეტის შემოსავლების სახით შემოსულია 37961,822 ლარი, გეგმის (34243,939 ლარი) 111 %. **მათ შორის**: 1) გადასახდების სახით შემოსულია 21226,729 ლარი, გეგმის 20135,000 ლარის 105 %, აქედან ქონების გადასახადი შემოვიდა 5225,420 ლარი, გეგმის 4695,000 ლარის 111 %, გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე ანუ დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოვიდა 16001,309 ლარი (გეგმის 15440,000 ლარის 104 %);

2) გრანტების სახით მიღებულია 12254,396 ლარი, გეგმის 12399,939 ლარის 99 %; მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 245,000 ლარი, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით მიღებული კაპიტალური გრანტი 400,000 ლარი, 2022 წელს

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან შემოსულია 5591,023 ლარი;

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად 2362,968 ლარი; „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 668,000 ლარი; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის 2249,822 ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 282.081 ლარი, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 455,502 ლარი. 3) სხვა შემოსავლების სახით შემოსულია 4480,697 ლარი, გეგმის 1709,000 ლარის 262 %; მათ შორის: შემოსავალი პროცენტებიდან 1785,110 ლარი (გეგმის 500,000 ლარის 357%); რენტა 697,326 ლარი (გეგმის 560,000 ლარის 125 %); საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 134,875 ლარი (გეგმის 99,000 ლარის 136 %); სანქციები, ჯარიმები და საურავები 797,217 ლარი (გეგმის 550,000 ლარის 145 %); შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 1066,169 ლარი; არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 8905,051 ლარი, გეგმის 8100,000 ლარის 110 %.



**გადასახდელები: (2018-2022 წლები)**

***მათ შორის***: საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 69 %-ით (გეგმა 45942,595 ლარი, ფაქტი 31667,868 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 99 %-ით (გეგმა 300,000 ლარი, ფაქტი 295,552 ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 81 %-ით (გეგმა 14241,043 ლარი, ფაქტი 11466,065 ლარი).

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების*** მაჩვენებლები ასეთია: შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 3635,219 ლარი, გეგმის 100 %; საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 5152,820 ლარი, გეგმის 5336,331 ლარის 90 %; პროცენტის ხარჯმა შეადგინა 26,393 ლარი, გეგმის 33,800 ლარის 78%; სუბსიდიების ხარჯმა შეადგინა 7945,305 ლარი, გეგმის 8176,894 ლარის 97 %; გრანტებმა226,406 ლარი, გეგმის 100 %; სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 1161,589 ლარით, გეგმის 1364,136 ლარის 85 %; სხვა ხარჯებმა შეადგინა 3794,414 ლარი გეგმის 4501,845 ლარის 84 %; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსდა 21138,517 ლარით, გეგმის 36462,136 ლარის 58 %–ით; ვალდებულებების კლება 53,270 ლარით გეგმის 54,000 ლარის 99 %.

**ინფრასტრუქტურის განვითარება**

დამტკიცებული გეგმა გაიზარდა სულ 26548,223 ლარით, სახელმწიფო ფონდებიდან დაემატა 12197,353 ლარი: მ.შ. გასული წლის ნაშთიდან 1652,320 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №675 განკარგულებით 5080,041 ლარი, 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით 2459,854 ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 5 აპრილის №604 და 19 აპრილის №718 განკარგულებებით 2149.991 ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 25 მაისის №926 განკარგულებით 187.147 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 25 თებერვლის №277 განკარგულებით 668,000 ლარი; საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 14350,870 ლარი: მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის გასული წლის ნაშთიდან 7215,397 ლარი, საკასო შემოსავლების მიხედვით გაზრდილი ბიუჯეტიდან 7135,473 ლარი და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 30962,223 ლარი, შესრულდა 23312,281 ლარით, გეგმის 75 %-ით.

**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** –გეგმა 16400,033 ლარი, შესრულება 12710,232 ლარი-78 % მ.შ.: გზების მიმდინარე შეკეთება 784,915 ლარი, გეგმის 46 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შესრულდა მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოშანდაკების მიზნით ტექნიკისა (გრეიდერი, ექსკავატორ დამტვირთველი, ავტოთვითმცლელი, გრუნტის სატკეპნი) და მათი ოპერატორების დაქირავების/ მომსახურების სამუშაოები, წარმოსადგენია ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული დოკუმენტაცია;

**შ.პ.ს. „საგარეჯოს“** სუბსიდიის სახით დაუფინანსდა 454,180 ლარი, გეგმის 502,900 ლარის 90%; ახალი გზების მშენებლობაზე გაიხარჯა 11463,368 ლარი, გეგმის 14155,695 ლარის 81 %; საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება 7,768 ლარი, გეგმის 19,957 ლარის 39 %;

**წყლის სისტემების განვითარება** 3625,986 ლარი, გეგმის 5204,984 ლარის 70 %; აქედან სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 3073,149 ლარი, გეგმის 4627,035 ლარის 66 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შესრულდა სოფელ მუხროვანის ჭაბურღილის და კოშკურა რეზერვუარის სამუშაოები- ხელშეკრულება შეჩერებულია, ჭაბურღილში დაფიქსირებული ნავთობის გამო; სოფელ ვერხვიანში წყალმომარაგების მაგისტრალური ქსელისა და მილსადენის რეაბილიტაციის მოწყობის სამუშაოები, საგარეჯოში ს/კ 55.12.63.000.015 მიმდებარედ ჭაბურღილის და 25 მ3 სამარაგო კოშკურა რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები დასრულებულია, საკასო შესრულება არ არის, რადგან დასკვნა არ მოსულა. საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სამუშაოები;

სასმელი წყლის ექსპლოატაციის (ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი დაფინანსებამ შეადგინა 552,837 ლარი, გეგმის 577,950 ლარის 96 %;

**გარე განათება** დაფინანსდა 2304,588 ლარით, გეგმის 1983,368 ლარის 90 %, მათ შორის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას მოხმარდა 1290,921 ლარი, გეგმის 100 %, ხოლო გარე განათების ახალი წერტილების მოწყობას 1013,667 ლარი, გეგმის 1256,361 ლარის 81 %;

**ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია** 3012,180 ლარი გეგმის 4158,128 ლარის 72 %;

**კეთილმოწყობა** დაფინანსდა 444,944 ლარით, გეგმის 676,402 ლარის 66 %, აქედან საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯი 330,355 ლარია, გეგმის 535,452 ლარის 62 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შესრულდა კოდას საკურორტო ზონის განვითარების ხელშეწყობა ტურისტული და ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობით-კერძოდ ტერასისა და კოტეჯების მოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი- აგეგმვითი ნახაზების შედგენის მომსახურების სამუშაოები; შენობების ფასადების რეაბილიტაცია 114,589 ლარი, გეგმის 140,950 ლარის 81 %;

**სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** დაფინანსდა 343,398 ლარით, გეგმის 653,369 ლარის 53 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შესრულდა ქ.საგარეჯოში მ.კოსტავას ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები;

**სარიტუალო ღონისძიებების პროგრამის სასაფლაოების მოვლა და შემოღობვის** ქვეპროგრამის გეგმა 83,797 ლარი, გათვალისწინებული იყო სოფელ თოხლიაურში სასაფლაოს შემოღობვა, სოფელ უდაბნოს სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოების დასრულება, საკასო ხარჯი არ გაწეულა;

**„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ხარჯმა** შეადგინა 870,953 ლარი, გეგმის 1237,379 ლარის 70 %.

**დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი** - გეგმა გაიზარდა 2432,565 ლარით, მათ შორის დაემატა გასული წლის ნაშთიდან სახელწიფო ფონდების 349,053 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის 612,737 ლარი, საკასო შემოსავლების მიხედვით გაზრდილი ბიუჯეტიდან 1470,775 ლარი და შეადგინა 4145,765 ლარი, შესრულდა 2427,069 ლარით ანუ 59 %-ით.

**დასუფთავება და გარემოს დაცვის** პროგრამა დაფინანსდა 2261,755 ლარით გეგმის 2282,790 ლარის 99 %, აქედან დასუფთავება და ნარჩენების გატანა დაფინანსდა 944,583 ლარით, გეგმის 949,445 ლარის 99 %; ***შ.პ.ს. ”სუფთა მუნიციპალიტეტი 2018”*** დაფინანსდა

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**28 აპრილი, 2023 წელი**



**გაგრძელება**

1317,172 ლარით, გეგმის 1333,345 ლარის 99 %; მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება 65,414 ლარი, გეგმის 1762,975 ლარის 4 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შესრულდა ქალაქ საგარეჯოს ცენტრალურ ნაწილში ახალი რეკრეაციული და გასართობი არეალის მოწყობის სამუშაოები; ქ.საგარეჯოში რუსთაველის ქუჩა 178-ის ეზოში სკვერის მოწყობის სამუშაოები და სოფელ გიორგიწმინდაში ე.წ. „გუგუტიაანთ უბანში №39; №39; სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა წარმოსადგენია ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული დოკუმენტაცია; კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში 99,900 ლარი გეგმის 100%.

**განათლების** დამტკიცებული ხარჯები გაიზარდა 3933,754 ლარით, სახელმწიფო ფონდებიდან დაემატა 1373,595 ლარი: მათ შორის გასული წლის ნაშთიდან 397,744 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით 510,983 ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 5 აპრილის №604 და 19 აპრილის №718 განკარგულებებით 7,888 ლარი, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 2022 წლის 14 იანვრის მთავრობის №51 განკარგულებით გამოიყო 456,980 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე დაემატა 2560,159 ლარი მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტის გასული წლის ნაშთიდან 1711,232 ლარი, საკასო შემოსავლების მიხედვით გაზრდილი ბიუჯეტიდან 848,927 ლარი და გეგმამ შეადგინა 7111,254 ლარი, შესრულდა 79 %-ით ანუ დაფინანსდა 5585,286 ლარით.

**სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება** (ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება) დაფინანსებულია 2950,517 ლარით გეგმის 3076,125 ლარის 96 %–ით;

**სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა** 1919,110 ლარით, გეგმის3223,797 ლარის 60 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შესრულდა ქ.საგარეჯოში ს/კ 55.12.52.126 მიწის ნაკვეთზე ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, სოფელ დიდი ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეალიბიტაციის სამუშაოები, სოფელ კაკაბეთში №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სამუშაოები;

**სკოლისგარეშე დაწესებულების ფუნქციონირება** დაფინანსდა 190,663 ლარით გეგმის 194,650 ლარის 98 %, აქედან ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯებმა შეადგინა 148,817 ლარი გეგმის 100 %; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 41,846 ლარი გეგმის 45,600 ლარის 92%;

**საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა** 524,995 ლარი გეგმის 616,682 ლარის 85 %;

**კულტურა**, ახალგაზრდობა და სპორტის გეგმა გაიზარდა 4984,924 ლარით, სახელმწიფო ფონდებიდან დაემატა 181,920 ლარი: მ.შ. გასული წლის ნაშთიდან 86,986 ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 25 მაისის №926 განკარგულებით 94,934 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან 3851,243 ლარი, საკასო შემოსავლების მიხედვით გაზრდილი ბიუჯეტიდან 951,761 ლარი და შეადგინა 8083,824 ლარი, დაფინანსდა 4333,511 ლარით ანუ 54 %-ით.

05 01 სპორტის სფეროს განვითარება დაფინანსებულია 2588,495 ლარით გეგმის 5240,559 ლარის 49 %–ით; მათ შორის: მათ შორის: ა(ა)იპ"საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლა" 70,832 ლარით, გეგმის 100 %; ა(ა)იპ'საგარეჯოს სპორტული გაერთიანება" 577,147 ლარით, გეგმის 100 %; ა(ა)იპ რაგბის კლუბი"ვეფხვები" 376,030 ლარით, გეგმის 100 %; შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი" 184,764 ლარით, გეგმის 100 %; სპორტული ღონისძიებები 68,168 ლარით გეგმის 78,240 ლარის 87 %; სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 1311,555 ლარით გეგმის 3952,474 ლარის 33 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ვადები შეთანხმების საფუძველზე გაგრძელდა ააიპ „საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლის„ ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კორპუსისა და საცურაო აუზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოებზე. და სოფელ უდაბნოში სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოებზე, სოფელ ბადიაურში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოებზე ხელშეკრულება შეჩერებულია ადგილმდებარეობის შერჩევის პროცესის გამო; ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო საკასო ხარჯი არ გაწეულა შემდეგ დასრულებულ სამუშაოებზე: ქ.საგარეჯოში მ.კოსტავას ქ№14-16-ში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი№11-13-ში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ქ.საგარეჯოში კიკვიძის ქუჩაზე ე.წ;ზვარეს; არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ქ.საგარეჯოში ნ.ცხვედაძის ქუჩის მიმდაბარედ არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სოფელ თოხლიაურში მინი სტადიონის მოწყობა, ქ.საგარეჯოში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის ინვენტარის შესყიდვა თანმდევი მონტაჟით;

**კულტურის სფეროს განვითარება** დაფინანსდა 1608,232 ლარით, გეგმის 2693,051 ლარის 60 %-ით,მათ შორის: ***ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა"*** 200,874 ლარი, გეგმის 100 %; ***ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება*** 686,364 ლარი, გეგმის 100 %; კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 509,867 ლარი გეგმის 1582,368 ლარის 32 %, ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო საკასო ხარჯი არ გაწეულა სოფელ ხაშმში მწერალ რევაზ ინანიშვილის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია-აღდგენის სამუშაოებზე; კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა 211,128 ლარი, გეგმის 223,285 ლარის 95 %;

**ახალგაზრდობის მხარდაჭერა** 91,026 ლარი, გეგმის 104,420 ლარის 87%;

**საგამომცემლო საქმიანობა** (შ.პ.ს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი „გარეჯის მაცნე") 45,757 ლარი , გეგმის 100 %.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დამტკიცებული გეგმა** გაიზარდა 1116,201 ლარით, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან 506,201 ლარი, საკასო შემოსავლების მიხედვით გაზრდილი ბიუჯეტიდან 610,000 ლარი და შეადგინა 3227,701 ლარი, შესრულდა 81 %-ით, ანუ 1710,155 ლარით.

**ჯანმრთელობის დაცვა** დაფინანსდა 151,583 ლარით, გეგმის 1418,113 ლარის 11 %, მ.შ.: ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი დაფინანსდა 124,897 ლარით, გეგმის 129,600 ლარის 96 %; სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია 26,686 ლარით გეგმის 1288,513 ლარის 2 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ შესრულდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის შენობის მშენებლობის სამუშაოები;

**სოციალური დაცვა** დაფინანსდა 1558,572 ლარით, გეგმის 1809,588 ლარის 86 %,

1)პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა 6,950 ლარით, გეგმის 10,000 ლარის 70 %( 21 ოჯახი);

2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 53,000 ლარით, გეგმის 54,000 ლარის 98 % (132 ოჯახი);

3) ბავშვთა კვების პროგრამის 8,852 ლარი, გეგმის 11,500 ლარის 77 %; ( 22 ბავშვი)

4) უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა 7,600 ლარით, გეგმის 13,800 ლარის 55 % ( 23 ბავშვი);

5) შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა 49,300 ლარი, გეგმის 100 %, დახმარება გაეწია 85 ბავშვს;

6) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 29,160 ლარი, გეგმის 53,000 ლარის 55 %, დაფინანსდა 13 ბენეფიციარის სარეაბილიტაციო კურსი, შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციართათვის განხორციელდა ტელევიზორის შესყიდვა და გადაცემა, აგრეთვე დაფინანსდა ცენტრის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის და ბენეფიციართა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯები;

7) მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა 3,600 ლარი გეგმის 4,000 ლარის 90 % (18 ბენეფიციარი);

8) რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური(ფულადი) დახმარების პროგრამა 360 ლარი გეგმის 5,000 ლარის 7 %, (1 ბენეფიციარი);

9) სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა 4,792 ლარი გეგმის 10,000 ლარის 48 %, ( 8 ოჯახი)

8) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 314,765 ლარი გეგმის 360,160 ლარის 87 %( 550 ბენეფიციარი);

9) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა 192,799 ლარი გეგმის 220, 000 ლარის 88% (562 ბენეფიციარი);

10) ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა 196,237 ლარი გეგმის 220,000 ლარის 89 % (325 ბენეფიციარი);

11) ბიკარბონატული ჰემოდიალიზითირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა 50,130 ლარი გეგმის 100 %( 39 ბენეფიაციარი);

12) ელექტრო ენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა 56,910 ლარი გეგმის 100 %(468 ბენეფიციარი);

13) მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა 45,400 ლარი გეგმის 70,000 ლარის 65% (894 ბენეფიციარი);

14) სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე 151,670 ლარი გეგმის 180,000 ლარის 84 %, ეს არის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შეძენის ხარჯი, გადაეცათ შობის და აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 1100 ბენეფიციარს, ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის სოციალურად დაუცველ 200 ბენეფიციარს;

15) მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა 15,852 ლარი გეგმის 25,000 ლარის 63 %, ეს არის სოფელ უდაბნოდან ქალაქ საგარეჯოში და სოფელ სათაფლედან ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვირაში ორჯერ უფასო ტრანსპორტირების ხარჯი;

16) ხანდაზმულ (95 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 2,200 ლარი გეგმის 4,000 ლარის 55 % (11 ბენეფიციარი);

17) უპატრონო და სოც დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა

12,000 ლარი გეგმის 16,000 ლარის 75 % (40 ბენეფიციარი);

18) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა 750 ლარი გეგმის 10,000 ლარის 8 %, გაიწმინდა ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი №19-ზე მდებარე საერთო საცხოვრებელი კორპუსის ეზოში არსებული სამი საკანალიზაციო ჭა;

19) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 28,423 ლარი გეგმის 38,000 ლარის 75 % (25 ოჯახი);

20) უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება 293,520 ლარი გეგმის 306,988 ლარის 96 % (220 ბენეფიციარი);

21) ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 2,800 ლარი გეგმის 10,000 ლარის 28 %, ფულადი დახმარება გაეწია დიდი სამამულო ომის მონაწილე 1 ვეტერანს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა 5 ოჯახს და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა 2 ოჯახს;

22) წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა 15,000 ლარის გეგმის100 %;

23) სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინასება 14,702 ლარი გეგმის 15,000 ლარის 98 % (15 ბენეფიციარი);

24) მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა 1,800 ლარი გეგმის 100 %.

**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების** გეგმა გაიზარდა 1314,271 ლარით, სახელმწიფო ფონდებიდან დაემატა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 5 აპრილის №604 და 19 აპრილის №718 განკარგულებებით 139,121 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან 887,090 ლარი, საკასო შემოსავლების მიხედვით გაზრდილი ბიუჯეტიდან 288,060 ლარი და შეადგინა 6652,871 ლარი, დაფინანსდა 5765,631 ლარით ანუ 87 %-ით.

**საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა** დაფინანსდა 5685,968ლარით, გეგმის 6399,227 ლარის 87 %, მათ შორის: ***მუნიციპალიტეტის საკრებულო*** დაფინანსდა 1270,289 ლარით გეგმის 1306,049 ლარის 97 %-ით; ***მუნიციპალიტეტის მერია*** 4222,968 ლარით, გეგმის 4898,178 ლარის 84 %-ით; ***სამხედრო აღრიცხვის,გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური*** დაფინანსდა 192,712 ლარით, გეგმის 195,000 ლარის 99 %-ით;

**საერთო დანიშნულების** ხარჯები დაფინანსდა 79,663 ლარი, გეგმის 114,523 ლარის 70%, სარეზერვო ფონდის დამტკიცებული გეგმა 390,000 ლარიდან გასანაწილებელი დარჩა 26,723 ლარი, 363,277 ლარი განაწილდა შემდეგნაირად: სტიქიის (2022 წლის 14-15 იანვრის ძლიერი ქარი) შედეგად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების სტიქიის მიერ დაზიანებული სახურავების

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**28 აპრილი, 2023 წელი**

**დასასრული**

მოწყობის სამუშაოებისთვის 35,165 ლარი; 2022 წლის 5 თებერვლის სტიქიის შედეგად (ძლიერი ქარი) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის მიზნით 67,674 ლარი, დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად საჭირო სამშენებლო მასალების შესასყიდად და მოსახლეობისთვის გადასაცემად 135,009 ლარი; უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად საკვები პროდუქტების შესყიდვა 10,000 ლარი; შენობის სახურავის მოწყობის სამუშაოების პროცესში მოსული ძლიერი წვიმების შედეგად დაზიანებული,ქ. საგარეჯოში,კახეთის გზატკეცილი №7-ის კორპუსში მდებარე ბინების შეკეთება 93,752 ლარი,სოფელ გომბორში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქისთვის „საცხოვრებელი კონტეინერი" -ს შესაძენად 17,200 ლარი,მოქალაქეების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების 2021 წლის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების მოწყობის სამუშაოებისთვის მომწოდებლებლის მიერ 2022 წელს წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოებზე ასანაზღაურებელი თანხის გადახდის მიზნით 4,477 ლარი. მგფ-ს და სხვა დავალიანებების დაფარვის ქვეპროგრამით გადახდილია სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და საგარეჯოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების(2 ცალი ნაგავმზიდი, 240 ცალი ნარჩენების კონტეინერი) გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში სესხის პროცენტი 26,393 ლარი, ვალდებულების კლება 53,270 ლარი. ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1839,605 ლარი, შესრულდა 95 %-ით ანუ 1745,846 ლარით.

**დღის წესრიგის II საკითხზე *„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანების" დირექტორის ბესიკ ღვინაშვილის 2022 წლის წლიური ანგარიშის მოსმენის შესახებ"*** მოხსენება გააკეთა ამავე გაერთიანების ***დირექტორმა***



**ბესიკ ღვინაშვილმა**. როგორც მან აღნიშნა:

– აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანების" დირექციას და მასში შემავალ ორგანიზაციებს გარკვეული სამუშაოები აქვთ ჩატარებული მუნიციპალიტეტში შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისა და განვითარებისათვის, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული მომსახურებისა და კულტურული მოთხოვნილებების რეალიზაციის საქმეში. ***გაერთიანებაში ფუნქციონირებს:***

კულტურის სახლი, თოჯინების თეატრი, სასოფლო კლუბები (კოჭბანი, თოხლიაური, ბადიაური, პატარძეული), ბავშვთა და მოზარდთა თეატრის წრე.

გოგლა ლეონიძის სახელობის სახლ-მუზეუმი.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ვანო მჭედლიშვილის სახელობის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერების სახელოსნო.

სამხატვრო სახელოსნო.

ანსამბლი „გარეჯი".

ანსამბლი „ჩინარი",

ანსამბლი „კასლეთილა",

ანსამბლი „ბერიკაცები",

ბავშვთა ფოლკლორული სტუდია „მირელა",

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები – კაკაბეთში, ბადიაურში, პატარძეულში, გომბორში, საგარეჯოს გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი ნინოწმინდაში,

სოფელ უდაბნოში ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი".

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ამჟამად ფუნქციონირებს 4 ბიბლიოთეკა.

საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკა, სოფლების: კაკაბეთის, ნინოწმინდის და პატარძეულის.

2022 წელს ოთხივე ბიბლიოთეკა 2535 მკითხველს მოემსახურა, გაცემულია 27369 წიგნი.

ნინოწმინდის ბიბლიოთეკა მოემსახურა 65 მკითხველს და გაიცა 195 ერთეული წიგნი.

სოფელ პატარძეულის ბიბლიოთეკა მოემსახურა 78 მკითხველს და გაიცა 280 წიგნი.

სოფელ კაკაბეთის ბიბლიოთეკა მოემსახურა 465 მკითხველს და გაიცა 10975 წიგნი.

გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმმა 2022 წელს 61 ექსკურსიას უმასპინძლა და 1249 დამთვალიერებელი ჰყავდა.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სულ 742 ექსპონატია, მათგან არქეოლოგია – 268 ექსპონატი, ყოფა და ეთნოგრაფია – 122 ექსპონატი, ნუმიზმატიკა – 240, ფერწერული ნამუშევარი – 53 ექსპონატი, გრაფიკული ნამუშევარი 15, საეკლესიო ნივთები – 5 ექსპონატიმემორიალური ნივთები – 20 ექსპონატი, ძველი და ძვირფასი ლითონები – 6, კინოფირი – 2, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები – 11. ასევე, არის საგარეჯოს თეატრის აფიშები – 59 ექსპონატი, მოსაწვევები – 33 ცალი, სახალხო თეატრის პროგრამები – 54 ცალი, ფილატელია – 1 ცალი, დოკუმენტები – 287 ცალი, ფოტომასალა – 379 ცალი, ალბომები – 6 ცალი.

2022 წელს მუზეუმს 732 ექსკურსანტი ჰყავდა, საიდანაც შემოსულია 203 ლარი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანებას 2022 წელს მიღებული ჰქონდა საგარეჯოს



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სუბსიდია 686363 ლარი, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 561346,10 ლარი (მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლებზე – 20170 ლარი), მივლინება გაცემულია 3429 ლარი, ოფისის ხარჯმა 56408 ლარი შეადგინა.

საგარეჯოს კულტურის სახლის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, სასოფლო კლუბების, ბიბლიოთეკების, გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებების ხარჯმა – 22487.75 ლარი შეადგინა, აქედან გაცემულია 6870 ლარის ღირებულების ფასიანიო საჩუქრები.

2022 წლის საკუთარმა შემოსავალმა 20390 ლარი შეადგინა (2022 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი 12446.86 ლარი იყო) თანხები შემოსული იყო ქირავნობის, გოგლა ლეონიძის და მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ექსკურსიების თანხებიდან.

სხდომის მონაწილეებმა, ასევე, მოისმინეს ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" დირექტორის მამუკა კურდღელაშვილის 2022 წლის წლიური ანგარიში, რომელსაც ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.

წარმოდგენილ ანგარიშზე თანამომხსენებელმა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ელენე სამხთუაშვილმა სხდომის მონაწილეთ წარმოუდგინა შესაბამისი დასკვნა.***

დეპუტატთა მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს საკითხების წარმომდგენლებმა.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

# ინფრასტრუქტურა-2023

## მინი სტადიონი

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მინი სტადიონების მოწყობის სამუშაოები გრძელდება.**

**სპორტული** ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით ***მუნიციპალიტეტის მერის*** **ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით, ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სტადიონებისა და სპორტული დარბაზების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

მალე, მაღალმთიან სოფლებს: ***უჯარმასა და გომბორს*** ახალი, მრავალფუნქციური მინი სტადიონი შეემატება. პროექტი ცენტრალური ბიუჯეტიდან „მთის ფონდის" დაფინანსებით ხორციელდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა, მოადგილეებთან ერთად სპორტული სივრცეების მოწყობის მიმდინარე სამუშაოები გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში მოინახულა.





### ისტორიული პროექტების ციკლი გრძელდება

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულში ე. წ უსტიაანთ უბნის 1 562 გრძივი მეტრი გზის მოასფალტებისთვის მიწის ვაკისის მექანიზირებული წესით მომზადების სამუშაოები დაიწყო.***

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა, პირველ მოადგილესთან, ემზარი კუჭუაშვილთან ერთად, სოფელ პატარძეულში მიმდინარე სამუშაოები მოინახულა.***

***პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1 626 437 ლარით ფინანსდება.***

„არაერთხელ მითქვამს და კვლავ განვმეორდები, ჩვენი მიზანია, მუნიციპალიტეტში მაქსიმალურდ მოვაწესრიგოთ საგზაო ინფრასტრუქტურა.

აღნიშნულ ლოკაციაზე, არასდროს არ ყოფილა ასფალტის საფარი. ეს გახლავთ ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბანი. მოგეხსენებათ, რა რთულია ნალექიან ამინდში გადაადგილება. ამ სოფელში მთავარ პრიორიტეტად დავსახეთ გზის მოასფალტება, თუმცა მხოლოდ ამ პროექტით არ შემოვიფარგლეთ, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ე. წ. ყუშიტაანთ უბნის გზის მოწყობისა და მიმდებარე ხევის ნაპირსამაგრი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას ინფრასტრუქტურის მიმართულებით, რათა მოსახლეობას შევუქმნათ შესაბამისი პირობები. "

- ***აღნიშნა*** **ავთანდილ გულიკაშვილმა.**



# წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა გრძელდება



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის *მერი* **ავთანდილ გულიკაშვილი,** საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელძღვანელთან **ლელა ფანოზიშვილთან** ერთად წარმატებულ ახალგაზრდებს: დუზაგრამის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულ - ზუსტმეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტს (სახელმწიფო გრანტი 100%) **ფაშა შაბანოვს**, იორმუღანლოს საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს- სამედიცინო უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსის სტუდენტს, პროექტ „ეტალონის" გამარჯვებულს **ნურლან ხალილოვს**, ლამბალოს სკოლის მე-12 კლასის მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეს - **ბასტი ნაბიევას,** მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა FLEX-ის 2019-2021 წლების კურსდამთავრებულებს **სოფო ესაიაშვილსა და ნია დიღმელაშვილს** შეხვდა მიღწეული წარმატებისთვის მადლობა გადაუხადა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

შეხვედრის მიზანი ახალგაზრდების საქმიანობის გაცნობა და საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, რჩევებისა და წინადადებების გაზიარება იყო, თუ როგორი კურსით უნდა გააგრძელოს ადგილობრივმა მმართველობამ მუშაობა, რათა ახალგაზრდებს საზოგადოებასთან ინტეგრირებასა და წარმატების მისაღწევად საჭირო უნარჩვევების შეძენაში დავეხმაროთ.

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა, მუნიციპალიტეტის მერმა მიღწეული წარმატებისთვის სტუმრებს მადლობა გადაუხადა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებსა და მხარდაჭერაზე ესაუბრა.

„მიხარია და ამაყი ვარ, რომ მუნიციპალიტეტს თქვენნაირი ახალგაზრდები ჰყავს დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული თქვენგანი ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში და თქვენს ცოდნას, გამოცდილებას მუნიციპალიტეტს მოახმართ.

მადლობა მინდა გადავუხადო პედაგოგებსა და მშობლებს, რადგან მათი წვლილი დიდია თქვენს წარმატებაში.

თქვენი ეს წარმატება თავისთავად განაპირობებს თქვენს უნარებს და შესაძლებლობებს. ამიტომ, მიზნისკენ სწრაფვის ტემპი არ უნდა შეანელოთ და უფრო მეტი მწვერვალები დაიპყროთ" – აღნიშნა ავთანდილ გულიკაშვილმა შეხვედრისას.

## Uğurlu gənclərə dəstək davam edir

Saqareco bələdiyyəsinin meri Avtandil Qulikaşvili təhsil resurs mərkəzinin rəhbəri Lela Fanozişvili ilə birlikdə uğurlu gənclərə: Duzaqram dövlət məktəbinin məzunu - Dəqiq Elmlər Fakültəsinin saf kursunun tələbəsi (100 dövlət qrantı) %) Yormuqanlo dövlət məktəbinin məzunu - tibb universitetinin hazırlıq kursunun tələbəsi Paşa Şabanov layihənin etalon qalibi - Nurlan Xəlilov, yüksək akademik göstəricilərə malik Lambalo məktəbinin 12-ci sinif şagirdi Bəsti Nəbiyeva ilə görüşdü. FLEX 2019-2021 Gələcək Liderlərin Mübadilə Proqramının məzunları Sofo Esayashvili və Nia Diqmelaşvili onlara uğurlarına görə təşəkkür edib və simvolik hədiyyələr veriblər.

"Görüşün məqsədi gənclərin fəaliyyəti ilə yaxından tanış olmaq və onların öz təcrübələrini nəzərə alaraq, gənclərin cəmiyyətə inteqrasiyasına kömək etmək üçün yerli hökumətin hansı istiqamətdə fəaliyyətini davam etdirməli olduğu ilə bağlı məsləhət və təkliflərini bölüşmək olub. və uğur qazanmaq üçün lazımi bacarıqları əldə edin.

Dialoq rejimində keçən görüşdə bələdiyyə sədri qazanılan uğurlara görə qonaqlara təşəkkür edib, gələcək əməkdaşlıq və dəstək perspektivlərindən danışıb.

"Mən şadam və fəxr edirəm ki, bələdiyyədə sizin kimi gənclər var. Əminəm ki, hər biriniz ölkəmizin inkişafına əvəzsiz töhfə verəcək, bilik və təcrübənizi bələdiyyəyə sərf edəcəksiniz".

Müəllimlərə və valideynlərə təşəkkür etmək istərdim, çünki uğurunuzda onların əməyi böyükdür.

Sizin bu uğurunuzun özü sizin bacarıq və bacarıqlarınızla müəyyən edilir. Ona görə də hədəfə doğru can atmaq tempini azaltmamalı və daha çox zirvələrə qalxmalısan".

- görüş zamanı Avtandil Qulikaşvili qeyd edib.





*ქეთი ბრატიაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი***

## კულტურა

# სოფელი კოჭბანი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბანში სახალხო მთქმელების გრიშა აფციაურის და ხვთისო წიკლაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიება სოფ. კოჭბანის საკლუბო სამუშაოს სპეციალისტმა ხათუნა მძელურმა გახსნა, სადაც ადგილობრივი მაცხოვრებლები იღებდნენ მონაწილეობას.

სპეციალურად ამ დღისთვის, მიწვეული იყო სახალხო მთქმელი, რამაზი დიდებაშვილი, რომელმაც წაიკითხა გრიშა აფციაურის და ხვთისო წიკლაურის ლექსები.

ღონისძიებაში მონაწილეებმა ისაუბრეს სახალხო მთქმელების პოეზიასა და ცხოვრებაზე, გაიხსენეს მათთან ურთიერთობის ეპიზოდები. შესრულდა ასევე მუსიკალური ნომრები.

ადგილობრივებთან ერთად, საღამოს სახალხო მთქმელების ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ.







# სპექტაკლი პატარებისთვის

**კიდევ** ერთი დაუვიწყარი დღე აჩუქეს ჩვენს პატარებს, საგარეჯოს თოჯინების საბავშვო თეატრის პატარა მსახიობებმა (ხელმძღვანელი **მარინა შიოშვილი**). წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი „მანანას ბატი".





# გაცნობითი შეხვედრა

**საგარეჯოს** კულტურის სახლში გაიმართა შეხვედრა საზოგადოებრივი განვითარების აკადემიის დამფუძნებელთან ქ-ნ ჟანა მაჩალაძესთან.

შეხვედრის მიზანი იყო საზოგადოებას უკეთ გაეცნო აკადემიის საქმიანობა, რომელიც მოიცავდა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს და პროფესიულ კურსებს.

შეხვედრა ჩატარდა პოეზიისა და სასიმღერო ხელოვნების თანხლებით, სადაც მონაწილეობა მიიღეს პოეტმა ნანა ცინცაძემ და მომღერლებმა თამრიკო მეჭიაურმა და ნინო ახვერდაშვილმა.



# სპორტი

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

### გარეჯელი „კლასიკოსების“ წარმატება სტეფანწმინდაში

**1-3 მაისს** სტეფანწმინდაში (ყაზბეგი) ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში უმცროს კადეტთა (15 წლამდელებს) შორის, რომელშიც ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მწვრთნელ თამაზ ყიფიანის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ.



თამაზ ყიფიანი სტეფანწმინდაში ოთხკაციანი გუნდით გაემგზავრა და იქიდან ერთი ჩემპიონის და ერთი ვიცე-ჩემპიონის ტიტული ჩამოგვიტანა საგარეჯოში. კერძოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ასპარეზობის ჩემპიონი გახდა გასული წლის საქართველოს ჩემპიონი და თამაზ ყიფიანის საუკეთესო აღსაზრდელი **ლუკა მარტიაშვილი,** რომელიც 75 კგ წონით კატეგორიაში ჭიდაობდა. ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ლუკამ სულ 4 შეხვედრა გამართა, სადაც ყველაზე მეტად ფინალური ორთაბრძოლა გაუძნელდა მსაჯების გამოისობით, მაგრამ თამაზ ყიფიანის გამამხნევებელი შეძახილებით ფრთებშესხმულმა შეძლო 0:4 ანგარიშის შემდეგ შეხვედრის შემობრუნება და სენაკელი გიორგი ქვარცხავა 14:4 დაჯაბნა. ამრიგად მან წელს თავის აქტივში ***საქართველოს ჩემპიონის მეორე ოქროს მედალი*** ჩაიწერა.

სტეფანწმინდიდან საგარეჯოში ვიცე-ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა ყიფიანის კიდევ ერთი პერსპექტიული მოჭიდავე ბურდიანელი **შოთა ტაბატაძე.**

მარტიაშვილის მსგავსად მასაც სულ 4 ორთაბრძოლის ჩატარება მოუხდა 85 კგ წონით კატეგორიაში, რომელთაგან პირველი სამი შეხვედრა წმინდა გამარჯვებით დაასრულა. ფინალში კი მოულოდნელად დამარცხდა ქუთაისელ თემურ სიმსივესთან ანგარიშით 7:4-ზე, მაშინ, როცა თავიდან შეხვედრა 4:0-ზე მიჰყავდა. ამაში ბრალი ალბათ მის გამოუცდელობას და თავისზე ასაკით დიდ მეტოქესთან ჭიდაობასაც მიუძღვის. ასეა თუ ისე, შოთა ტაბატაძე ლუკა მარტიაშვილთან ერთად დაყენებული არიან და 1 ივნისს გაემგზავრებიან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რუმინეთში გასამართ საერთაშორისო ტურნირზე, რომლის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება ევროპის პირველობაში მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდი.

წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს „კლასიკოსებს“ რუმინეთში და შემდგომ, ხორვატიაშიც, სადაც ივლისში ევროპის ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს.

## ძიუდო

### საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი „არსენა“ — ოქროს თორმეტეულშია

**19 აპრილს** თბილისში ჩატარდა ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის საკლუბო ჩემპიონატი ძიუდოში, რომელშიც საქართველოს 77 კლუბის ძიუდოისტები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყვნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის ძიუდოს კლუბები „გარეჯი-2“ და „არსენა“.

ოქროს 12 კლუბს შორის მოსახვედრად „გარეჯი-2“-ის ძიუდოისტებმა პირველივე შეხვედრაში დათმეს პოზიციები და გამოეთიშნენ ასპარეზობას. სამაგიეროდ იყოჩაღეს „არსენას“ ფალავნებმა და შეძლეს დასახული მიზნის მიღწევა — შევიდნენ „ოქროს“ 12 გუნდში. პირველ შეხვედრაში მათ დაამარცხეს კლუბი „ოლიმპიური ვარსკვლავი“, მომდევნო შეხვედრაში — „ბოლნისი“, მესამეში — „ოლიმპი“, მეოთხეში დამარცხდნენ „ელვასთან“, შემდეგ კი დაამარცხეს „ლეგენდის“ და „წვიმრიელის“ გუნდები და დამსახურებულად გახდნენ დაწესებული ფულადი ჯილდოს მფლობელები. ამ მიზნის მისაღწევად „არსენას“ მოჭიდავეებს ხუთ წონით კატეგორიაში მოუწიათ ასპარეზობა. 55 კგ წონით კატეგორიაში კლუბის ღირსებას იცავდნენ **ოთარ ოდიკაძე და ლუკა კანჯარაშვილი,** 60 კგ-ში — **ნიკოლოზ კურდღელაშვილი და თენგო შათირიშვილი**, 66 კგ-ში — **ლადო მაჩურიძე და დავით ბორაშვილი**, 73 კგ-ში — **გიორგი ნაცვლიშვილი** და +73-ში — **დავით ხუციშვილი** (***მწვრთნელები* მამუკა მათიაშვილი, ნიკოლოზ გაგნიაშვილი გოჩა მეკოკიშვილი).**



საკლუბო ჩემპიონატის ფინალ;ი ივნისის დასაწყისში გაიმართება

## ვასილ გულისაშვილი _120

### დააფასეს ამაგდარი მეცნიერი








**საბედნიეროდ**, უამრავი პრობლემითა და გამოწვევით აღსავსე ჩვენს ცხოვრებაში ხდება ისეთი ამბებიც, რომლებიც განსაკუთრებულ შინაარსს მატებს ამა თუ იმ დარგის, მუნიციპალიტეტისა თუ ქვეყნის ცხოვრებას. სწორედ ასეთი ამბავი მოხდა 7 მაისს ქალაქ საგარეჯოში: ჩვენი ***მუნიციპალიტეტის მერის* ავთანდილ გულიკაშვილის** მხარდაჭერით და ორგანიზებით, **ვასილ გულისაშვილის** დაბადებიდან 120 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა.

უფროსი თაობის წარმომადგენლებმა, მით უფრო ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენს ეკოლოგიური პრობლემების სიმრავლით გამორჩეულ ქვეყანაში სოფელ გიორგიწმინდაში დაბადებულმა ვასილ გულისაშვილმა დიდი ამაგი დასდო ტყეების გაშენებას და მეცნიერულ შესწავლას, ახალი მეთოდების დანერგვას და მეტყევეთა არაერთი თაობის აღზრდას.

ვასილ გულისაშვილის ღვაწლის მნიშვნელობა დღეს კიდევ უფრო მეტად საგრძნობია: კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ მავნე შედეგებთან გამკლავებაში ხომ ისე არაფერი გვეხმარება, როგორც ტყეების გაშენებაზე, დაცვასა და მოფრთხილებაზე ზრუნვა.

თუმცა, ხსენებული საღამოს მნიშვნელობა მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება. ამ შეხვედრას არაჩვეულებრივად გაუძღვა მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი, სამაგალითო მეტყევე, მეცნიერი, პედაგოგი, თავის საქმესა და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი **ზვიად ტიგინაშვილი**. საღამოს მიწურულს, მუნიციპალიტეტის მერმა გარემოს დაცვაში შეტანილი წვლილისა და სატყეო საქმიანობის მიმართულებით გატარებული ღონისძიებებისთვის მას ტყის ქომაგის ჯილდო გადასცა.

როდესაც ჩვენ ვაფასებთ წარსულში მოღვაწე ადამიანების ღვაწლსაც და ამჟამად მოღვაწე, თავისი საქმის ერთგული ადამიანების დამსახურებებსაც - ეს წარმოადგენს სახელმწიფოს განვითარებისთვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს. ეს არის უდიდესი მაგალითი იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ამჟამად ირჩევენ პროფესიას ან იწყებენ პირველი ნაბიჯების გადადგმას პროფესიონალად ჩამოყალიბების გზაზე.

ამ საღამოს მეტი დატვირთვა შემატა იმ ფაქტმაც, რომ თბილისიდან ჩამობრძანებულმა სტუმრებმა, რომლებიც წლებია ერთგულად ემსახურებიან სატყეო დარგს, გვირგვინით შეამკეს კიდევ ერთი დიდი ქართველი მეტყევის, ასევე საგარეჯოელი **სოლომონ ქურდიანის** ძეგლი. მეამაყება, რომ საგარეჯოს რაიონმა ორი ლეგენდარული (სხვა ლეგენდადქცეულ ადამიანებთან ერთად) მოღვაწე, ვასილ გულისაშვილი და სოლომონ ქურდიანი აღუზარდა საქართველოს.

ამ საღამოს ღირსება გახლდათ ისიც, რომ იგი დაფასება იყო ისეთი ურთულესი პროფესიის, როგორიც მეტყევეობაა. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებში საქართველოში ერთგვარად შემცირდა ამ პროფესიისადმი სათანადო ყურადღება. არადა, ჩვენი ქვეყნის ისეთ უმნიშვნელოვანეს რესურსს, როგორიც ტყეებია, პროფესიონალ და კეთილსინდისიერ მეტყევეებზე უკეთ ვერავინ უპატრონებს....

საღამო იყო დატვირთული ინფორმაციულადაც და ემოციური თვალსაზრისითაც . მოხარული ვარ, რომ ბევრი საინტერესო რამ გავიგე და საკუთარი სათქმელის დაფიქსირების საშუალებაც მომეცა. საღამოზე მიწვევისთვის მინდა საჯაროდ გადავუხადო მადლობა ზვიად ტიგინაშვილს.



აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ავთანდილ გულიკაშვილს გადავუხადო ***მადლობა***: ასეთი მშვენიერი საღამოს ორგანიზებისთვის, ჩვენი რაიონის ლამაზი ტრადიციების აღდგენისა და პატივისცემისთვის, არაერთი ღირსეული ადამიანის დაფასებისა და წახალისებისთვის, საგარეჯოს სახელის საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანად გატანისთვის, მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი არაერთი პროექტის დაწყებისა თუ განხორციელებისთვის. მინდა, მას თავის გუნდთან ერთად დიდი წარმატებები ვუსურვო!

წერილის მიწურულს კი, აუცილებლად მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება:

განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში ეკოლოგიური პრობლემები, მათ შორის კლიმატის ცვლილება რჩება უმთავრეს გამოწვევად. მისი უარყოფითი შედეგების შერბილება და მასთან ადაპტაცია მოითხოვს არა მხოლოდ ძალიან მრავალმხრივ, სისტემურ და კომპლექსურ მუშაობას, არამედ სახელისუფლებო სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების, მედია-საშუალებებისა და აქტიური მოქალაქეების მჭიდრო თანამშრომლობას. ასეთი საღამოები თუ საქმიანი შეხვედრები ამგვარი თანამშრომლობის ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა.

*სანდრო უსტიაშვილი*

# სპორტი

## ქართული ჭიდაობა

### კახეთის რეგიონული თასი კვლავ საგარეჯოშია

**აპრილის** ბოლოს გურჯაანში ჩატარდა კახეთის ტრადიციული რეგიონული გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, სადაც კახეთის სხვა მუნიციპალიტეტების ფალავნებთან ერთად მონაწილეობდა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ შვიდი ფალავნით დაკომპლექტებული გუნდი. ასპარეზობაც ზუსტად ამდენივე – 7 წონით კატეგორიაში ტარდებოდა, სადაც პირველ შეხვედრაში საგარეჯოელებმა ანგარიშით 5:2 დამაჯერებლად დაამარცხეს ყვარლელი მეტოქეები; მეორე შეხვედრაში კი 6:1 მოუგეს ლაგოდეხელებს და გავიდნენ ფინალში. აქ, როგორც შარშან, მათი მეტოქეები გურჯაანელი ფალავნები აღმოჩნდნენ. არც ამჯერად დაირღვა ტრადიცია და გარეჯელებმა გურჯაანელები 4:3-ით დაამარცხეს, რითაც ***მოიპოვეს კახეთის ჩემპიონობა*** და ***კახეთის თასი***.

მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება, თუ ვინ შეიტანა წვლილი ამ გამარჯვებაში. ესენი არიან: **თამაზ მახარობლიშვილი** (45კგ), **ოთო ოდიკაძე** (50კგ), **ლუკა დარისპანაშვილი** (55კგ), **დავით მეზვრიშვილი** (60კგ), **დავით ბორაშვილი** (66კგ), **გიორგი მეკოკიშვილი** (73კგ) და **გიორგი ქარჩაიძე** (+73კგ)

გუნდი ამ ასპარეზობისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა **მამუკა მათიაშვილმა, გოჩა მეკოკიშვილმა და თემურ კურდღელაშვილმა.**



## მხატვრული ტანვარჯიშის გარეჯული სკოლის პირველი საიმედო ნაბიჯები

***გასული წლის 1 ოქტომბერს, საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტულ დარბაზში კიდევ ერთ დიდ და ჩვენი მომავალი თაობებისათვის სასურველ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. თბილისის ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის მწვრთნელ მედეა ვეკუას ინიციატივითა და ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ დირექტორის მამუკა კურდღელაშვილის მხარდაჭერით გაიხსნა მხატვრული ტანვარჯიშის შემსწავლელი წრე და წარმატებით აგრძელებს დაწყებულ საქმიანობას. ამ წრის ხელმძღვანელს სასაუბროდ სწორედ მაშინ ვეწვიეთ, როცა იგი მორიგ ვარჯიშებს უტარებდა პატარა საგარეჯოელებს და ერთი საათის განმავლობაში მოწმენი გავხდით, თუ როგორი რუდუნებით ეკიდებოდა თითოეული ბავშვისათვის ამა თუ იმ ილეთის სწავლება-დახვეწის საქმეს. საღამოს 17 საათისათვის ქ-ნმა მედეამ მეცადინეობა დაასრულა და ჩვენთან საუბრისთვისაც მოიცალა.***

***– ქ-ნო მედეა, დღეს ტანვარჯიშის წრეზე ბავშვთა მრავლობაა. სულ ასეა?***

– მხატვრული ტანვარჯიშის წრეზე დადის 60 გოგონა, მათ შორის სოციალურად დაუცველი 15 ბავშვი, მრავალშვილიანი ოჯახებიდან კი 5 ბავშვი. ვარჯიშზე დადის 4 წლიდან ზევით ასაკის ბავშვები და დაყოფილი არიან ჯგუფებად. ისე, რომ ჩვენთან მუდამ „ხალხმრავლობაა“, რადგან პატარებს ვარჯიშზე მათი მშობლებიც დაჰყვებიან ხოლმე და ახლოდან აკვირდებიან თავიანთი შვილების მეცადინეობას.

***– რა ინტერვალით ტარდება მათი ვარჯიშები?***

– მეცადინეობები ტარდება ყოველ ორშაბათსა და ოთხშაბათს 14 საათიდან 17 საათის ჩათვლით.

***– ვინ აფინანსებს ბავშვების სწავლებას?***

– სწავლისათვის დაწესებული გვაქვს გადასახადი 30 ლარის ოდენობით. სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახები გათავისუფლებული გვყავს ამ გადასახადისაგან. ამ შემთხვევაში კი, თუ ერთი ოჯახიდან წრეზე დადის 2 ან 3 ბავშვი, ოჯახი გადასახადს იხდის მხოლოდ ერთ ბავშვზე.

***– რა ღონისძიება ჩატარდა 30 აპრილს თბილისში, სადაც, როგორც გავიგეთ, წარმატებით გამოსულან თქვენი აღსაზრდელები?***

– 30 აპრილს თბილისში ჩატარდა „Level up 2023“, რომელშიც საქართველოს ტანვარჯიშის 200-ზე მეტი პატარა ტანმოვარჯიშე იღებდა მონაწილეობას, მათ შორის ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის საგარეჯოს მხატვრული ტანვარჯიშის წრის წევრები, რომლებისთვისაც წარმატებული გამოდგა მათი მონაწილეობა ამ ასპარეზობაში. კერძოდ, იქ პირველი ადგილი დაიკავა ***ქეთევან კურდღელაშვილმა,*** მეორე ადგილზე გავიდა ***ნანიტა გრატიაშვილი,*** მესამეზე – ***ელიზაბეტ გაგნიაშვილი,*** მეოთხე ადგილზე – ***თამუნა ბექიაშვილი,*** რომელიც ასევე გახდა „ლოკო-მოკოს“ რჩეული.

უფრო მეტი გეგმები გვაქვს დასახული მომავლისთვის, რასაც იმედია ჩვენი მონდომებული შრომითა და ვარჯიშებით უსათუოდ განვახორციელებთ.

***წარმატებებს ვუსურვებთ საგარეჯოში ფეხადგმულ მხატვრული ტანვარჯიშის წრის ხელმძღვანელს და მის აღსაზრდელებს.***

*გივი დაბახიშვილი*





## ფეხბურთი

### „გარეჯი 1960“ მეორე ლიგის ერთპიროვნული ლიდერია

„**გარეჯი** 1960“ მესამე წელია საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში გამოდის და უკვე მოექცა როგორც ჟურნალისტების, ისე სპეციალისტების ყურადღების ცენტრში. შარშანდელისაგან განსხვავებით წლეულს გუნდმა კარგი სტარტი აიღო და დღეს გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია, თანაც უშუალო შეხვედრებში სძლია თავის მთავარ მეტოქეებს.

დავიწყოთ მე-5 ტურით, როცა გარეჯელებმა, როგორც გათამაშების ლიდერებმა, საკუთარ მოედანზე მიიღეს იმ დროისათვის მეორე ადგილზე მყოფი „სპაერი“ და 5:0 გაანადგურეს იგი. ამ ხუთი გოლიდან ორი გიორგი პაპავას ანგარიშზეა, თითო გოლი კი გაიტანეს ჯაბა კასრელიშვილმა, გიორგი ხარებაშვილმა და ნიკოლოზ გალახვარიძემ.

ამის შემდეგ იყო მარცხი გასვლაზე თბილისის ლოკომოტივთან 0:3, რამაც ერთგვარი გამოფხიზლება მოახდინა გარეკახული კლუბის ფეხბურთელების. მათ მას შემდეგ თითქმის უდანაკარგოდ ჩაატარეს მატჩები ხობის „კოლხეთთან 4:1, „ვიტ-ჯორჯიასთან 3:0, შემდეგ გასვლაზე ფრედ ითამაშეს მეორეადგილოსან „კოლხეთი-1913“-თან, მერე კი ასევე გასვლაზე გაანადგურეს თბილისის მერანი 6:1, მე-11 ტურში ამ სეზონში უკვე მეორედ სძლიეს უშუალო კონკურენტ ბოლნისის „სიონს“ 2:0. გოლები 50-ე და 53-წუთებზე გაიტანეს გიორგი ხარებაშვილმა და გიორგი პაპავამ.

11 ტურის შემდეგ გარეჯი 26 ქულით ერთპიროვნული ლიდერია და 5 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „კოლხეთი-1913“-ს. იმედი გვაქვს გარეჯი ასეთივე წარმატებით გააგრძელებს თამაშებს და სეზონის ბოლოს უდიდესი სენსაციის მოწმე გავხდებით – საგარეჯოელებს უმაღლეს ლიგაში გვეყოლება გუნდი.

*ზურაბ აგულაშვილი*

## ძიუდო

### გორში, ევროპის თასზე

**29-30 აპრილს** ქ. გორში ჩატარდა ევროპის თასი 2006-2007 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც საგარეჯოელმა სპორტსმენმა თამარ სუხიაშვილმა III საპრიზო ადგილი დაიკავა. ვულოცავთ მას ამ გამარჯვებას და შემდგომშიც წარმატებებს ვუსურვებთ!



## მოსწავლე მოკრივეთა საქართველოს ჩემპიონატზე

### ვერცხლის მედალი და ევროპის „საგზური“

**7-12 აპრილს** მარნეულში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის, რომელშიც სხვებთან ერთად თავის ძალებს სცდიდა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ კრივის სექციის მწვრთნელ ***გიორგი კოხტაშვილის*** ორი პერსპექტიული აღსაზრდელი – მანაველები – **დავით პასიკაშვილი და მალხაზ აფციაური.** ორივე მათგანი კრივის წრეზე სავარჯიშოდ გიორგი კოხტაშვილის მიერ ამ წრის აღორძინებისთანავე მივიდნენ და გარკვეული წარმატებებიც გააჩნიათ სხვადასხვა სახის ასპარეზობებში. ამის გათვალისწინებით დააყენა ისინი მწვრთნელმა ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობის რინგზე, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად მომავალ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებადაც მოიაზრებოდა.. მათგან არ გაუმართლა და პირველივე ორთაბრძოლიდან ასპარეზობას გამოეთიშა მალხაზ აფციაური, რომელსაც ეს შეხვედრა ამ წონაში საქართველოს უძლიერეს და ამ ასპარეზობის ჩემპიონთან ჰქონდა.

სამაგიეროდ, იყოჩაღა და ფინალამდე ორი შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა 63კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **დავით პასიკაშვილმა,** თუმცა ვერ შეძლო ახალქალაქელ მოწინააღმდეგესთან გამკლავება და რინგი ვერცხლის მედლით დატოვა. ამ შედეგით იგი აყვანილია საქართველოს მოსწავლე მოკრივეთა ნაკრებში და დიდი შანსები აქვს გაემგზავროს ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც აგვისტოში გაიმართება.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ოფიციალური ვიზიტით იტალიის დელეგაცია ეწვია

დასასრული



კულტურათაშორისი თანამშრომლობის აქციების ხელშეწყობა, განსაკუთრებული აქცენტით სათემო თეატრზე;

საგანმანათლებლო და საშემსრულებლო საქმიანობის ორგანიზება და განხორციელება, ახალი ტექნოლოგიები მოიცავს ხელოვნურ ინტელექტს და ვირტუალურ რეალობას, ვიზუალურ ხელოვნებას და ხელნაკეთობას, მატერიალურ და არამატერიალურ მემკვიდრეობას სტუდენტებისთვის, მასწავლებლებისთვის, ექსპერტებისთვის, მხატვრებისთვის, როგორიცაა სემინარები, მასტერკლასები, სასწავლო კურსები, გამოფენები, რეზიდენციების წარმოდგენები. ა.შ.

კულტურული მემკვიდრეობისა და ურბანული რეგენერაციის სფეროში დისციპლინური კვლევები და საქმიანობა;

მკვლევარების, ექსპერტების, მასწავლებლების, მხატვრული პერსონალის გაცვლა მოკლე ხანგრძლივობის კურსებზე;

ხელშემკვრელი მხარეების საერთო ინტერესების შესაბამისი ერთობლივი პუბლიკაციები;

სტუდენტებისა და პერსონალისთვის კონფერენციების, სასწავლო შეხვედრების, სემინარებისა და კურსების ორგანიზება;

დელეგაციის წევრებმა ოფიციალური შეხვედრების გარდა, მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობებიც მოინახულეს.



მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა სტუმრებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები გააცნო და სალენტოს უნივერსიტეტის ლაბორატორიასთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, აღნიშნული ძეგლების ციფრული პლატფორმის შექმნაზე იმსჯელა.

დასკვნით შეხვედრაზე აქცენტი ქალაქებს შორის თანამშრომლობაზე ხელოვნებისა და კულტურის სფეროს მიმართულებით გაკეთდა. სწორედ ამ მიზნით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ოფიციალური ვიზიტით მყოფ იტალიელ სტუმრებს მუნიციპალიტეტის მერმა კულტურის სახლის დარბაზში უმასპინძლა. სტუმრებთან ერთად, ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.



ღონისძიების ფარგლებში, ტრადიციული ხალხური რეწვის ნიმუშების, ადგილობრივი მხატვრების ნახატების, საგარეჯოს თოჯინების თეატრის ხელმძღვანელის - მარინა შიოშვილის ხელნაკეთი თოჯინებისა და საგარეჯოს სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

სპეციალურად ამ დღისთვის - კი, საგარეჯოს სახალხო თეატრის დასი უცხოელი სტუმრების წინაშე პრემიერით წარსდგა. სპექტაკლმა - „ფატი" (რეჟ. ნიკოლოზ საბაშვილი) განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

იტალიის დელეგაციის სამდღიანი ვიზიტი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დასრულდა.

*ქეთი გრატიაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი***

# არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირი გიორგიწმინდაში

**აპრილი** ჩვენი ლეგენდარული ფალავნის მსოფლიო და პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, ყოფილი სსრკ-ს 18-გზის ჩემპიონის არსენ მეკოკიშვილის დაბადების თვეა. ამასთან დაკავშირებით ტრადიციადაა ქცეული ყოველი წლის აპრილში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირების ჩატარება ქართულ ჭიდაობაში, რომელიც მისივე სახელობის საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში იმართება ხოლმე. ეს ტრადიცია არც წელს დარღვეულა და 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულის აღნიშვნასთან ერთად, უკვე მისი მშობლიური, გიორგიწმინდის ღია საჭიდაო არენაზე ნახერხმოყრილ მოედანზე ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში ქვეყნის ამ სტილის მოჭიდავეებს მასპინძლობას და მეტოქეობას ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" ხელმძღვანელობა და გარეჯელი ფალავნები უწევდნენ.





საგარეჯოელთაგან თავი ისახელეს და ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ***ოთარ ოდიკაძე (50კგ), ლუკა დარისპანაშვილი (55კგ), ნიკოლოზ კურდღელაშვილი (60კგ), გიორგი ნაცვლიშვილი (81კგ) და გიგი ესაიაშვილი (+81კგ).*** აქვე აღსანიშნავია, რომ ორ წონით კატეგორიაში 60 და 81 კგ-ში ორი გარეჯული ფინალი გათამაშდა. კერძოდ, პირველ მათგანში ***ნიკოლოზ კურდღელაშვილს*** მეტოქეობას უწევდა ასევე საგარეჯოელი ***გიორგი თამაზაშვილი,*** 81 კგ წონით კატეგორიაში კი ***გიორგი ნაცვლიშვილის*** მეტოქე იყო ***ლუკა ჭინჭარაძე.*** 73 კგ-ში მესამე ადგილზე გავიდა ***ლერი ილურიძე.***

ასპარეზობის დასასრულს ჩატარდა აბსოლუტური ფალავნობა, სადაც ჩემპიონობა და დაწესებული პრიზი – ჭედილა არავის დაუთმო საგარეჯოელმა მძიმე წონის ფალავანმა სანდრო სონიშვილმა.

არსენ მეკოკიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ ტურნირს ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი,** ძიუდოში მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი **ზვიად ზვიადაური,** ვეტერანი ქართველი მოჭიდავეები, ქართული ჭიდაობის გარეჯელი გულშემატკივრები,

*გივი დაბახიშვილი*



რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე"-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს"-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com